შირაქი

დედოფლისწყარო

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ფასი: 50 თეთრი

№6 (9.866)
2 – 9 მარტი 2019 წელი

მთავრობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 50%-ს დააფინანსებს

გვ. 2

სოფლებში ამგულატორიებს აღადგენენ

გვ. 5

დედის დღე ემიგრაციაში...

გვ.4

სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი ისტორიულ ჰერეთში

გვ. 2

„იმედი მაქვს, მივაღწევთ შედეგებს ეკლესიის, თეატრის აღგენისა და კულტურულ ცენტრთან დაკავშირებით“

როცა სიკეთე გადამდებია...

94 წლის ქალს ერთ დღეში ბედნიერების განცდა დაუბრუნდა

გვ. 3

„რაც მხედველობა დავკარგე, ჩემი ცხოვრება გაუსაძლისი გახდა“

ხანჯლების ოსტატი არბოშიკიდან

„ხმლის ჭედვის დაუფლებაზე არასოდეს მიფიქრია, მიდრეკილებაც არ მქონია, მაგრამ დღეს ოჯახს ამით ვარჩენ“

გვ. 6

უშანგი ხუმა

მხატვარი დედოფლისწყაროდან

გვ. 8

C M Y K

სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი ისტორიულ ჰერეთში

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აზერბაიჯანში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი ისტორიულ ჰერეთში, კახის რაიონში, ქართული წარმოშობის აზერბაიჯანის მოქალაქეებთან შეხვედრით დაასრულა. შეხვედრას დედოფლისწყაროდან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი კაპანაძე, კახის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი პეტრე ხუმარაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილიც ესწრებოდნენ. პრეზიდენტი კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასაც ესტუმრა. დელეგაციას საქართველოს პარლამენტის წევრებიც ახლდნენ. ქართველი დეპუტატების მხრიდან ღიად გაკეთდა განცხადებები, რომ ჰერეთში მცხოვრები ქრისტიანები ისეთივე პირობებში უნდა ცხოვრობდნენ, როგორც საქართველოში აზერბაიჯანელები არიან.

მანამდე პრეზიდენტი ბაქოს ესტუმრა, სადაც პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და ვიცეპრეზიდენტ მეჰრიბან ალიევას შეხვდა. ზურაბიშილი ბაქოში ქართველ სტუდენტებსა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებსაც შეხვდა. ოფიციალური პრეს-კონფერენციის შემდეგ ალიევმა საქართველოს პრეზიდენტს ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა.

პრეზიდენტმა ქართველებთან შეხვდერისას ოფიციალური ვიზიტის შესახებ ისაუბრა და ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გულითადი მოკითხვა გადასცა. ზურაბიშვილმა ბაქოს ვიზიტის შეხვედრები მიმოიხილა და იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან გულთბილი დახვედრა, საქართველო-აზერბაიჯანის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობები კახის ადგილობრივ მოსახლეობაზეც აისახება. ქართული სკოლის პედაგოგებმა პრეზიდენტის წინაშე დააყენეს პედაგოგთა გადამზადებისა და ქართულენოვანი სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემა. ჰერები პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობის ამოქმედებასაც სთხოვენ, რათა მათი სამშობლოსთან კონტაქტი კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს. ზურაბიშვილმა განმარტა, რომ მისთვის ორმაგი მოქალაქეობის საკითხი კარგად ნაცნობი თემაა და საკითხზე აქტიურად მუშაობენ.

სალომე ზურაბიშვილის თქმით, ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ატარებენ ქვეყნის იდენტობას, ენასა და კულტურას, რაც ძალიან ბევრის მთქმელია. „თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებიც რეალურად, ფიზიკურად აკავშირებენ ორივე ქვეყანას. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ძალისხმევით და კეთილგანწყობებით მივაღწევთ შედეგებს ეკლესიის, თეატრის აღდგენისა და კულტურული ცენტრის საკითხებთან დაკავშირებით.

ეს არის ჩემი პირველი ვიზიტი რეგიონში და ამდენად ძალიან მიშვნელოვანი იყო ასეთი მიღება, რომელიც მაძლევს ძალიან დიდ იმედს, რომ ჩვენი ურთიერთობების განვითარების გზები, ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი ეკონომიკური და სატრანსპორტო სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივები თქვენზეც აისახება და საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანული წარმოშობის მოსახლეობაზეც", – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, არჩევიდან რამდენიმე თვეში ერთერთი პირველი ოფიციალური ვიზიტით ჰერეთს სტუმრობდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც.

ილია მარტყოფლიშვილი

მთავრობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 50%-ს დააფინანსებს

მთავრობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამას განახორციელებს. თანადაფინანსების მოცულობა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 150 000 ლარისა.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, ეს პროგრამა ფერმერებთან შეხვედრებზე ყველაზე ხშირად განიხილებოდა და გამოიკვეთა, რომ მათთვის მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენდა.

„ვფიქრობთ, რომ ტექნიკაზე წვდომის უზრუნველსაყოფად საჭიროა მთელი რიგი მიმართულებები, მათ შორის, საგრანტო და თანადაფინანსება. ჩვენ მივიღეთ გადაწვეტილება, რომ ახალი პროგრამის ფარგლებში 50 % გრანტით თანადაფინანსება ექნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მაქსიმალური ლიმიტი ამ შემთხვევაში განსაზღვრულია 150 000 ლარით. ეს თანხა იქნება გრანტი, რომელსაც ბენეფიციარი ფერმერი მიიღებს", - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე (განსაკუთრებით მოსავლის ამღები ტექნიკა, როგორც თვითმავალი, ასევე მისაბმელი) ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ან კანონის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი), რომელშიც სახელმწიფო არ ფლობს წილს/პაის/აქციას.

ბენეფიციარის მიერ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს ექსპლუატაციაში არ მყოფი და წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე;

პროგრამას, რომლის მოცულობა 4 მილიონი ლარია, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში განახორციელებს.

გია ვოლსკი - უმრავლესობიდან გასულების მიერ პოლიტიკური გუნდების, თუნდაც ფრაქციების ჩამოყალიბება რთულად მესახება

უმრავლესობის შემადგენლობიდან გასულების მიერ პოლიტიკური გუნდების, თუნდაც ფრაქციების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულად მესახება - მხოლოდ გარეთ გასვლა საკმარისი არ არის, საჭიროა გარკვეულ საკითხებზე საერთო პოზიციების ქონა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განუცხადა. კითხვაზე, მმართველი გუნდიდან დეპუტატების წასვლის პროცესში ურევია თუ არა თავად პარტიის ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის ხელი, ვოლსკიმ განაცხადა, რომ საკითხის ასე დასმას არ მიესალმება, რადგან "პროცესი ხელოვნური არ არის".

„სოციალისტებს" თავისი პოლიტიკური გეგმა აქვთ 2020 წლისათვის. ზოგადად, მიმაჩნია, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის აქტიური მზადება დაიწყო, სადაც ყველას თავისი გეგმა აქვს - არიან პოლიტიკოსები და სიტუაციას პოლიტიკურად აანალიზებენ. ზოგის შემთხვევაში, მწვავედ წავიდა დაპირისპირების ფორმა, ზოგ შემთხვევას საქმიანი გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად", - აღნიშნა გია ვოლსკიმ.

სოფო ქაცარავა - ეუთო-ს დასკვნაში მთავარი გზავნილია, რომ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება თავისუფალ გარემოში გაეკეთებინა არჩევანი

„ეუთო-ს დასკვნაში მთავარი გზავნილი არის ის, რომ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, თავისუფალ გარემოში გაეკეთებინა თავისი არჩევანი", - ამის შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავამ ეუთო-ს ანგარიშის კომენტირებისას განაცხადა.

ქაცარავას თქმით, ანგარიშთან დაკავშირებით მძიმე სურათის წარმოჩენა არასწორია. „ვთვლი, რომ ასეთი მძიმე სურათის წარმოჩენა ეუთო-ს ანგარიშთან დაკავშირებით არასწორია. ეს არის ჯანსაღი პროცესი, როდესაც ეუთო აკვირდება არჩევნებს სხვადასხვა ქვეყანაში და ანგარიშში ასახავს როგორც პოზიტიურ მხარეებს, ასევე რეკომენდაციებს. მთავარია, ანგარიშში აისახა ის, რომ ამომრჩევლებს ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, წინასაარჩევნო გარემო იყო თავისუფალი და კონკურენტული, ხოლო არჩევნები იყო მაღალ პროფესიონალურ დონეზე ადმინისტრირებული. ბუნებრივია, ჩვენ ყოველთვის მაქსიმალურად ვითვალისწინებთ რეკომენდაციებს. სნორედ პოლონეთში ვიზიტის დროს მე და პარლამენტის თავმჯდომარეს გვქონდა შეხვედრა ODIHR-ის ხელმძღვანელთან, სადაც გამოვხატეთ მზაობა, რომ გავაგრძელოთ მუშაობა ამ მიმართულებით", - აღნიშნა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ.

წითელას 20 შემთხვევა დედოფლისწყაროში

კახეთის რეგიონში წითელას ვირუსის შემთხვევების კლება შეინიშნება. იანვართან შედარებით ყველა რაიონში კლება ფიქსირდება. თუმცა, განსხვავებული ვითარებაა დედოფლისწყაროში. თუკი იანვრის თვეში წითელას გამოვლენის 7 შემთხვევა აღირიცხა დედოფლისწყაროში, ამ დროისთვის მუნიციპალიტეტში უკვე წითელას 20 შემთხვევაა რეგისტრირებული.

ამ ინფორმაციას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგი ლალი ალადაშვილი ავრცელებს. მისი თქმით, თებერვალში გამოვლენის მაჩვენებელმა იმატა.

„წლევანდელი მონაცემებით თბილისიდან დადასტურებული პასუხი 5 შემთხვევაზე მივიღეთ, ხოლო 10 პაციენტზე ეპიდკავშირითაა დადასტურებული. ორი თვის მონაცემებით, ჯამში 20 შემთხვევა გვაქვს, ყველა მათგანის მონაცემები თბილისში გვაქვს გადაგზავნილი," – ამბობს ალადაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს საგანგებო შტაბი, რომელსაც ვიცე მერი ხელმძღვანელობს და მასში სხვადასხვა სფეროს ხელმძღვანელი პირები არიან გაერთიანებულნი, მათ შორის ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების. დედოფლისწყაროს სკოლებსა და ბაღებში აცრები ჩაუტარდათ როგორც მოსწავლეებს, ისე პედაგოგებსა და პერსონალს. ვაქცინაცია უფასოა და ამ დრომდე გრძელდება.

პირველ ეტაპზე დედოფლისწყაროში წითელას სამი შემთხვევა აზერბაიჯანული ეროვნების საგარეჯოს მოქალაქეებს გამოუვლინდათ, რომლებიც დედოფლისწყაროს ფერმებში მუშაობენ. შემდეგი სამი შემთხვევა უკვე ადგილობრივებში დაფიქსირდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კახეთის განყოფილების უფროსის ნელი ხიზანიშვილის თქმით, კახეთის რეგიონში მიმდინარე წელს წითელას ვირუსის სულ 201 შემთხვევაა დაფიქსირებული. მისივე ინფორმაციით, გასულ კვირას 13 შემთხვევა აღირიცხა.

-„ნლის დასაწყისში გვქონდა სტაბილურობა, კვირის განმავლობაში იყო 25-20 შემთხვევა, შემდეგ მოიმატა და 45-იც კი დაფიქსირდა. ამ კვირის 4 დღეში ჯერჯერობით მხოლოდ 13 შემთხვევაა, გასულ კვირას 39 გვქონდა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საგარეჯოშია. კვირის დამთავრებამდე შესაძლოა რამდენიმე შემთხვევა დაემატოს, მაგრამ ზოგადად კლების ტენდენცია შეინიშნება და არა ზრდის. ეს გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარეობს უფასო აცრები. ამ დროისთვოს 19 იანვრის შემდეგ 7 500 ადამიანს აქვს აცრა ჩატარებული. რაც მეტი ადამიანი აიცრება, მით უფრო კლებისკენ წავა ვირუსი".

ილია მარტყოფლიშვილი

როცა სიკეთე გადამდებია...

ანა მიქელაშვილი 94 წლისაა. ის თელავში დაიბადა და გაიზარდა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დედოფლისწყაროში, სოფელ საბათლოს საშუალო სკოლაში გაანაწილეს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აქ შეხვდა მომავალ მეუღლეს და დაოჯახდა. ეყოლა შვილები და, წესით, მას ტკბილი და უზრუნველი სიბერე უნდა ჰქონოდა, მაგრამ...

ასაკის მატებასთან ერთად ჯანმრთელობამაც უმტყუნა. წლებია, მას კანის სიმსივნე აქვს, ბოლო პერიოდში კი კიბო აგრესიული გახდა და სისხლდენამაც იმატა. მის გაუსაძლის ყოფას ისიც ამძიმებს, რომ თვალისჩინი დაკარგა და მუდმივ სიბნელეში უწევს ცხოვრება...

ჯანმრთელობის პრობლემებს მატერიალური სირთულეები ემატება და ხანდაზმულის ყოფას აუტანელს ხდის. მათი სახლი, უფრო სწორად კი ქოხი, რომელიც გასულ საუკუნეში ალიზისგანაა ნაგები, სულ ორი ოთახისგან შედგება. ოთახში, სადაც დედა-შვილი ცხოვრობს, ავლა-დიდებას ორი საწოლი, ორი სკამი და შეშის ღუმელი წარმოადგენს, ეზოც და აივანიც სიღარიბის თვალით გიმზერს... და ამის მიუხედავად, სოციალური სააგენტოდან მათ საკმაოდ მაღალი ქულები მოუვიდათ, რის გამოც სოციალური შეწეობის გარეშე უწევთ ცხოვრება.პენსია საკმაოდ მიზერულია იმისთვის, რომ მოხუცებულის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ***„ორი წელია, მეუღლე გარდამეცვალა და სოციალური შემწეობა შეგვიწყვიტეს. მიუხედავად იმისა, რომ რაიონის მერმა რეკომენდაცია გაგვიწია შესაბამის სტრუქტურებთან, მისი აღდგენა ვერ მოხერხდა. ჩემთვის გაუსაძლისი გახდა ცხოვრება, რაც მხედველობა დავკარგე. საოჯახო საქმეები ჩემს შვილს დაანვა მხრებზე, მას კი მეუღლეც არ ჰყავს, რომ მხარში ამოუდგეს“***– წუხს ანა ბებო.

მისი შვილი ავადმყოფია და ვერ მუშაობს. ოჯახის მდგომარეობა ცნობილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, მალხაზ მერაბიშვილთან და წითელი ჯვრის დედოფლისწყაროს წარმომადგენლობის ექიმებთან ერთად სოფელ საბათლოს ეწვია და მოსიანების მატერიალურად გაჭირვებული ოჯახი კიდევ ერთხელ მოინახულა. ნიკოლოზ ჯანიშვილმა მოსიანებს საკვები პროდუქტები მიუტანა, წითელი ჯვრის ექიმებმა კი ოჯახის ასაკოვან წარმომადგენელს, ანა მიქელაშვილს ელექტროკარდიოგრაფიული და ლაბორატორიული კვლევები ადგილზე ჩაუტარეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტის ხელმღვანელები მოსიანებს სხვადასხვა სახის დახმარებას სისტემატიურად უწევენ და მათი ქველმოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. მისივე თქმით, ოჯახის გვერდში დგომის სურვილი მუნიციპალურმა სამსახურებმა - წყალმომარაგების, „ენერგო-პრო ჯორჯიას“, „სოკარ ჯორჯიას“ დედოფლისწყაროს წარმომადგენლობებმაც გამოთქვეს, რისთვისაც მერი აღნიშნულ სამსახურებს მადლობას უცხადებს.

მოსიანებმა მერს თანადგომისათვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მათ აქამდეც არაერთხელ დადგომია გვერდში, ხოლო მათი და საზოგადოების მხარდაჭერა მათი ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენელთა ვიზიტამდე იყო მოხალისე აკა სინჯიკაშვილის პოსტი, რითიც ის საზოგადოებას ანა მიქელაშვილის გაუსაძლის ყოფას ამცნობდა და ყველა მსურველს დახმარებისკენ მოუწოდებდა. როგორც ჩანს, მისმა გულისამაჩუყებელმა პოსტმა იმუშავა და ანა ბებოს ერთ დღეში ბედნიერების უკვე დავიწყებული განცდა გაუცოცხლა.

აკა სინჯიკაშვილმა კიდევ ერთხელ გაახსენა საზოგადოებას მოხუცებული ადამიანი, როცა საბათლოში ჩავიდა და უამრავ საყოფაცხოვრებო ნივთთან ერთად პროდუქტი და მედიკამენტები ჩაუტანა მას. „მოხუცისთვის ერთ დღეში ნაჩუქარი ბედნიერება. ანა ბებოს და მის შვილს არასდროს აღარ შეაწუხებთ შიმშილი და სიცივე. გადახდილი ექნებათ ერთი წლის გადასახადები, სულ ახალი საწოლი, ლეიბები, საბნები, თეთრეული, თბილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სახლისთვის ყველა საჭირო ნივთი, დიდი ხნის უნახავი ტელევიზორი, მაცივარი, შეშა, წამლები, 3 თვის სამყოფი საჭმელი პროდუქტები. გადავუხადეთ ყველა მაღაზიაში და აფთიაქში ვალები. რადგან შვილი მოხუცს მარტო ცოტა ხნითაც ვერ ტოვებს და მუშაობა არ შეუძლია, სახლში ექნება ათი ან მეტი ფუტკრის სკა, ძველი მეფუტკრეა და მთელი გულით და სიხარულით მოუვლის, ეყოლებათ ქათმები და საჭმელი არასდროს გამოელევათ“...

ასე ხდება, როცა სიკეთე გადამდებია. ბედნიერების განცდა მხოლოდ მატერიალურ ფასეულობებზე არ გადის, ის მასზე მაღლა დგას. ადამიანებს სულ ცოტა ჰყოფნით ბედნიერებისთვის, ყურადღება და სითბო. მისი გაცემა ყველას შეგვიძლია, მთავარია, ამისი სურვილი გაგვაჩნდეს...

გაზეთი „შირაქი“ ანა მიქელაშვილის პრობლემის შესახებ ექსკლუზიურად ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს იუწყებოდა. შედეგად, შეწყვეტილი ელექტროენერგია მოხუცს იმხანად აღუდგა, ექიმებთან ერთად სახლში ეწვია მუნიციპალიტეტის მერიც და სხვა საავადმყოფოებში ტრანსპორტირებით დახმარება შესთავაზა.

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №81

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის № 12 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნ ი კ ო ლ ო ზ ჯ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მ ა მ უ კ ა ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მ ა ლ ხ ა ზ მ ე რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ი რ ი ნ ა ზ ე ლ ე ნ ს კ ა ი ა - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ი ო ს ე ბ ბ უ თ ხ უ ზ ი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზ უ რ ა ბ ჯ ა ნ გ უ ლ ა შ ვ ი ლ ი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 29 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 აგვისტოს №564 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქალაქი სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნ ი კ ო ლ ო ზ ჯ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი
მუნიციპალიტეტის მერი

დედის დღე ემიგრაციაში...

დედის დღე – 3 მარტი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დააწესა 1991 წელს. იგი მას შემდეგ უქმედაა გამოცხადებული და უკვე ოცდამერვედ აღვნიშნავთ.

დღე, რომელზეც არ გვწყინდება დედებისთვის საჩუქრის ჩუქება და შვილებისგანაც ყურადღებას ველით. განწყობა ამაღლებულია, კიდევ ერთხელ გრძნობ, რომ უხილავი ძაფი დედასა და შვილს შორის ყოველთვის უვნებელი და ხელუხლებელი დარჩება. ეს ყველაზე მყარი და ერთგული, უპირობო და შეუვალი კავშირია ყველა მინიერ თუ ზეციურ კავშირთა შორის. ამიტომ არის რთული, წერო იმაზე, რაც ისედაც ცხადია, რასაც არც ახსნა სჭირდება, არც დასაბუთება, დედა როგორ გიყვარს, ამას ვერც სიტყვით გადმოსცემ და ყოველთვის არც საქმით გამოგვდის, უბრალოდ იცი, რომ არავისთან და არაფერთან გაქვს დედამინაზე ასეთი ბმა, ასეთი მყარი და ერთგული კავშირი.

დღეს, დედის დღესთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეს მოვუსმინოთ. **თაია წიკლაურმა** წარჩინებით დაამთავრა ჯერ ქალაქის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი, ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და პროგრესული აზროვნებით, ადამიანური კეთილგანწყობით, მეგობრობით და გვერდში დგომით, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვერ გასცდა რეალობას, სამშობლოს დატოვების გარეშე ეტვირთა მარტოხელა დედას შვილის აღზრდა და მისთვის მატერიალური კეთილდღეობის მოპოვება. ამიტომ ჩვენ მას საბერძნეთში ვესაუბრეთ, რათა გაგვეგო, როგორია ერთი ემიგრანტი დედის განცდები განსაკუთრებით დედის დღეზე სამშობლოსგან შორს.

- თაია, რას ნიშნავდა დედის დღე სამშობლოში და რას ნიშნავს ემიგრაციაში?

– მეგონა, იმ ემოციებს, რასაც წლებია ვატარებ, გზას მივცემდი ,გულს მოვიოხებდი..არ ყოფილა იოლი, თურმე, სათქმელი ამერია, დავიბენი.თან ვფიქრობდი, რას ვიტყვი ახლა უცხოს, გამორჩეულს, ყველაფერი ხომ ისედაც ყველასთვის ცნობილია-რამდენად რთულია ემიგრაციაში. არავინ მოტყუვდეს და ჩვენი მხიარულსახეებიანი ფოტოების ნახვისას გაიფიქროს, შენ რა გიშავს, კი დააღწიე თავი აქაურ გაჭირვებასო. ეს, ჩემო ძვირფასებო, თვეში ერთი დღეა ასეთი, დანარჩენი... ვერავინ იტყვის, ალბათ, რომ ემიგრაციაში დღესასწაულები იგივე ემოციებით და სიხარულითაა დატვირთული, როგორც სამშობლოში ,მითუმეტეს მათთვის, ვისაც ოჯახი აქ არ ჰყავს.

– მე მიყვარს ძალიან გაზაფხული, თავისი იებით, აყვავებული ხეებით, ჭორფლებით. 3 მარტი კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი დღეა, მთავარი მიზეზი კი ამ დღის იუბილარი ჩემი შვილია. საქართველოში ამ დღისთვის ვფუსფუსებდი,საჩუქარს ვამზადებდი, დილით ვერ ვასწრებდი ხატიას მილოცვას, შემანათებდა თვალებს, შემომაყრიდა ჭორფლს, მკოცნიდა და -დეეე,გილოცავ დედის დღეს, ჩემს დაბადების და შენს დაბადების დღესო(ამ დღეს მეც იუბილარი ვარ). მერე ვურეკავდი დედას, მოვესიყვარულებოდი, მალე სტუმრობას ვპირდებოდი და ვასრულებდი ამ პირობას... 9 წელია საბერძნეთში ვარ. ახლაც მიყვარს გაზაფხული, ოღონდ ვერც იის სურნელი ვერ ვიგრძენი ამდენ ხანს, ვერც ბალახის, არც ისეთი ლამაზი ჭორფლი არსად მინახავს.....ისევ მასწრებს ჩემი ხატულა-დეე, გილოცავ,ისევ ვკოცნი (ამჯერად ტელეფონის ეკრანიდან),ისევ ვურეკავ დედას და.... ვატყუებ, მალე ჩამოვალო.. უზარმაზარი განსხვავებაა და ზუსტად ეგ განსხვავება მტკივა და იცით, კიდევ რა მტკივა? რომ ვეჩვევი ნელ-ნელა ამ განსხვავებას. არ მინდა ოდესმე მხოლოდ ტექსტებმა, პოსტებმა, ვირტუალურმა კოცნებმა დამაკმაყოფილოს, მინდა, ჩემს შვილს ჩავეხუტო და ისე ვუთხრა ,რომ მეამაყება, როგორც შვილი და როგორც დედა,მინდა ჩემს საყვარელ ლილეს მე გავუმასპინძლდე სკოლიდან მოსულს...ესაა ის ტკივილი, რასაც, ალბათ, ყველა განიცდის...

– თაია, რა გიხარია და რა გტკივა ამ დღესთან დაკავშირებით ყველაზე მეტად?

– ამ დღეს და ყველა დღეს მიხარია, რომ ვარ დედა, რომ შემიძლია, ყოველთვის, სიტყვითაც და საქმითაც, გვერდით დავუდგე ჩემს შვილს, მიხარია,რომ მელოდება დედა, მოხუცი, მაგრამ ჯანმრთელი და უზომოდ ყოჩაღი და ჩემი ტყუილიც იქნებ არ გაგრძელდეს დიდხანს...

– მანდ თუ აღნიშნავენ დედის დღეს და როგორ?

– საბერძნეთში კი დედის დღე ,როგორც გავიგე, მაისის მეორე კვირა დღეა,.. არ აღნიშნავენ ისე ტკბილად და ემოციით, როგორც ჩვენ.. წლებია აქ ვარ და ოჯახებში არც მინახავს საჩუქრით დედასთან მოსული შვილები, თუმცა, ზოგადად უყურადღებობას ვერ დავწამებ.

– აქ შვილები მალე გადიან ცალკე და ცხოვრობენ თავისი ცხოვრებით და ძირითადად სატელეფონო მოკითხვებით შემოიფარგლებიან.

– ყველას გილოცავთ, ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, დედის დღეს. უფალმა დაიფაროს ყველა დედა შვილის ავისგან, გაურკვეველი დროით სიშორისგან და უზომო მონატრებისგან.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

დედის დღის ხიბლს მიღმა...



დედობა, ალბათ, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა ცხოვრებაში და რა საკვირველია, მას თან უამრავი პრობლემა ახლავს. საქართველოში ათასზე მეტ ქალს მარტოხელა დედის სტატუსი აქვს მინიჭებული. ეს ის ქალები არიან, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო შვილების მარტო აღზრდა უწევთ. ისინი ხშირად ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ მარტოხელა დედობა განაჩენი სულაც არ არის.

ინესა ამბარიანი 27 წლის ახალგაზრდა დედაა, რომელიც ორ შვილს დღეს დამოუკიდებლად ზრდის. მას ორჯერ უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია როგორც შვილების, ასევე საკუთარი თავის მიმართ, რადგან სწორი, მართებული გზა უჩვენო პატარა ბავშვებს, ეს მარტივი არ არის. მარტივი არ არის სირთულეებში არ დაიკარგო და მყარად იდგე ფეხზე.

— ინესა, მოგვიყევი შენზე...

— რვა წლის განმავლობაში მეუღლესთან ერთად ვქმნიდი და ვაშენებდი იმას, რაც დღეს აღარ მაქვს. ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება სრულიად მარტოს მომიწია. ჩემთვის სირთულეს სოციალური ფონი არ წარმოადგენდა. არ ვფიქრობდი, რომ ქმარი თუ არ მუშაობს, შვილები შეიძლება მშიერი გყავდეს და ამის გამო ოჯახი დაანგრიო. მე ვმუშაობდი და ვაკეთებდი ყველაფერს იმისთვის, რომ მათთვის არაფერი მომეკლო. არამარტო მათთვის, მთელი ოჯახისთვის. სირთულეების წინაშეც დავდექი, ჩემი ჯანმრთელობა იყო. სიმსივნე აღმომაჩნდა და რამდენიმე ოპერაცია დამჭირდა. როდესაც მეგონა, რომ არავინ მიმატოვებდა იმ რთულ პერიოდში, მაშინ მიმატოვა მეუღლემ. პირდაპირ არ ადგა და წავიდა, მაგრამ გვერდით გადგა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი უკან დარჩა,მაგრამ მე და ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილი წამოვედით იმ ოჯახიდან.

— შენი აზრით, რა არის ის მთავარი გამოწვევა, პრობლემა რომლის წინაშეც დღეს მარტოხელა დედები დგანან?

— გამოწვევას ვერ დავარქმევ, მაგრამ მარტოხელა დედებს პრობლემები მართლაც უამრავი აქვთ. მე ვცდილობ, ვებრძოლო ამ პრობლემებს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში მე ჩემი ოჯახი მიდგას გვერდში, რომელიც არ მაძლევს იმის საშუალებას, რამეზე გული გამიტყდეს. ბევრ დედას დრო არ ყოფნის შვილებთან ურთიერთობისათვის. ნაწილობრივ, მეც იგივეს განვიცდი. პრობლემები უფრო ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უკავშირდება. მათ ორივე მშობლის გვერდში ყოფნის მოთხოვნა აქვთ და ამას განიცდიან. ამას რომ უყურებ, შენც არანაკლებ განცდებში ხარ, როგორც დედა, იმიტომ, რომ ჯერ ვერ უხსნი, რატომ არის ის მხოლოდ ერთ მშობელთან.

— რასთან ასოცირდება თქვენთვის სამი მარტი, დედის დღე?

— მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის ყველა დღე 3 მარტია. ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ორი ანგელოზის დედა ვარ. ყოველ დილას ჩემი შვილების დაძახილი „დე, მოდი ჩემთან“ არის დღესასწაული.

— რთული მომენტების დროს, როგორ მიგიგვნია იმ გზისთვის, რასაც გამოჰყავდი სიტუაციიდან?

— რთული მომენტები ხშირად მქონია. სტრესის და მკურნალობის შემდეგ დეპრესია მქონდა, ლოგინს მივეჯაჭვე რამდენიმე თვე. მაგრამ იმის გააზრებამ, რომ შვილებს ძლიერი დედა სჭირდებათ, გამოფხიზლების და დეპრესიისგან თავის დაღწევის სტიმული მომცა. ახლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ აღარ დავეცემი ისე მტკივნეულად, იმიტომ, რომ შვილებს ვჭირდები.

— რა არის შენი მთავარი სათქმელი დედის დღესთან დაკავშირებით? რას ეტყოდი იმ დედებს, რომლებიც გაჭირვებით, მაგრამ მაინც ზრდიან საკუთარ შვილებს?

— ყველა დედას ასეთ რამეს ვეტყოდი: არ დანებდნენ. შვილებს ქუჩისკენ არ უბიძგონ, იბრძოლონ იმისთვის, რომ ადამიანებად აღზარდონ და არა მხოლოდ გაზარდონ. მათ ეს აუცილებლად დაუფასდებათ. მაგალითისთვის, ჩემი ოჯახი შემიძლია მოვიყვანო. მართალია, მამას არ მივუტოვებივართ, ის გარდაიცვალა, მაგრამ მარტო დარჩენილმა დედამ დიდი შრომა ჩადო თითოეულ ჩვენგანში (და და ძმა მყავს) და მიმაჩნია, რომ მეტ-ნაკლებად მას ეს შრომა დაუფასდა, რადგან სამივე შვილი მან დამოუკიდებელ ადამიანებად აღგვზარდა და ფეხზე დაგვაყენა. მარტოხელა დედობა არ ნიშნავს იმას, რომ ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელია და მთელი ცხოვრება გაჭირვებასა და საზოგადოების მხრიდან მუდმივ ზეწოლაში ყოფნა მოუწევს. ჩემს გარშემო ძალიან ბევრ წარმატებულ დედას ვიცნობ. დედებო, იცხოვრეთ შვილებისა და თქვენი კეთილდღეობისთვის!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

პოეზიის და სიმღერის ზეიმი ქვემო ქედში

19 თებერვალს დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ ორგანიზებით და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, ქვემო ქედის საჯარო სკოლაში გაიმართა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“, ახალი, მე-6 ნომრის წარდგენა და ასოციაციის წევრი პოეტების ვახტანგ ტოხიშვილის, ლევან ალავერდაშვილის, ეთერ ჩოხელის, გიორგი ნატროშვილის, მარიამ ტოხიშვილის, თამარ ნასრაშვილის,ზიზო ბურდულის, თამარ კობახიძის და პატარა „არწივების“ შეხვედრა დაინტერესებულ საზოგადოებასთან.

შეხვედრა გახსნა ქვემო ქედის რწმუნებულმა– ბატონმა ავთო ხუმარაშვილმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სტუმრები და სიტყვა გადასცა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია „ფიროსმანის“ თავმჯდომარეს და ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ რედაქტორ-გამომცემელს — გიორგი ნატროშვილს. რედაქტორმა ისაუბრა ალმანახ „ხორნაბუჯის“ შექმნის ისტორიაზე და განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დამსახურება აღნიშნული გამოცემის განხორციელების საქმეში. ასევე მოკლედ ისაუბრა ასოციაცია „ფიროსმანის“ შექმნისა და განვითარების ისტორიაზე 1996 წლიდან დღემდე.

გიორგი ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ალმანახი იხსნება საიუბილეო მილოცვებით. მან 80 წლის იუბილე მიულოცა ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს და 2001-2013 წლებში მის თავმჯდომარეს ჯუმბერ უთრუთაშვილს. ბატონმა ჯუმბერმა თავისი ახალი ლექსები წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ქვემო ქედის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს – მარიამ ტოხიშვილს, ვისი შემოქმედების გაცნობაც იყო შეხვედრის ერთ-ერთი, თავდაპირველი მიზეზი.

გიორგი ნატროშვილმა 60 წლის იუბილე მიულოცა პოეტ თამაზ წიკლაურს, ხოლო თამაზმა თავისი მშვენიერი ლექსებით მოხიბლა მსმენელები. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შესანიშნავი პოეტები: ზიზო ბურდული, ლევან ალავერდაშვილი, შმაგი ჭინჭარაული, თამარ ნასრაშვილი.

ამ შეხვედრაზე გავიცანით ჭარმაგი პოეტი ქალბატონი ეთერ ჩოხელი-ბაინდურაშვილისა, რომელმაც წაგვიკითხა თავისი ლექსები და ასევე შელექსების საუკეთესო მაგალითები ვახუშტი კოტეტიშვილთან და იოსებ ბაიაშვილთან(რასაც, უფრო სრულად, „ხორნაბუჯის“ უახლოეს ნომერში გავაცნობთ მკითხველს).

ამავე შეხვედრაზე გავეცანით ქვემო ქედის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლის ვახტანგ ტოხიშვილის შემოქმედებას.

შეხვედრას მუსიკალურად აფორმებდა სამრეკლოს კულტურის სახლთან არსებული ტრიო „სამრეკლო“: გაიოზ ხუციშვილის ხელმძღვანელობით. Aსევე, თამარ კობაიძის მიერ შექმნილი ქვემო ქედის მომღერალ გოგონათა გუნდები „მთის შვილნი“ და „მზის სხივი“, მღეროდნენ ვაჟთა გუნდი „არწივები“, ინდივიდუალური შემსრულებელი ნინო ნაყეური.

შეხვედრის ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა ქვემო ქედის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნათელა ბუთხუზმა.

დასასრულს, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ, როგორც ქვემო ქედის სკოლასა და საზოგადოებას, ასევე ბატონ ავთო ხუმარაშვილს შესანიშნავი მასპინძლობისათვის.

ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“
სარედაქციო კოლეგია

სოფლის ამბულატორიების აღდგენა იწყება

საქართველოს რეგიონებში გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ცენტრებისა და ამბულატორიების მშენებლობა იგეგმება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს 440 პროექტიდან კახეთში 54 ასეთი პროექტი განხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს არსებული ამბულატორიების რეაბილიტაციას, ახლის მშენებლობას, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრების გარემონტებას და სხვა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ამჯერად არ დაუკონკრეტებია, კახეთის რეგიონისთვის გათვალისწინებული 54-დან რამდენი პროექტი განხორციელდება უშუალოდ დედოფლისწყაროში. თუმცა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ამბობენ, რომ ოფიციალური წერილობითი მოთხოვნა 8 სოფლის ამბულატორიის აღდგენის შესახებ მიაწოდეს. 2013 წელს დედოფლისწყაროს რამდენმე სოფელში ახალი ამბულატორიები გაიხსნა, ამიტომ დანარჩენი სოფლების ამბულატორიები სარეაბილიტაციო სამუშაოებს არ საჭიროებს.

დედოფლისწყაროს სასწრაფო დახმარების სამსახურს 3 ახალი თანამედროვე სტანდარტების ავტომობილი 2014 წლის დეკემბერში გადაეცა. ავტომობილები გერმანული წარმოების „ფოლკცვაგენის“ ფირმის მაღალი გამავლობისაა და უახლესი სამედიცინონ აპარატურითა აღჭურვილი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისი დედოფლისწყაროში, რომელიც ფართობით ყველაზე დიდი რაიონია ქვეყანაში. 2014 წლიდან სასწრაფო დახმარების სამსახურის ეკიპაჟი მორიგეობს სოფელ ზემო ქედშიც. აქამდე, 2014 წლის მარტში, საქართველოს მასშტაბით 81 ახალი ამბულატორიის მშენებლობის პროექტის ფარგლებში ახალი ამბულატორია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში დამონტაჟდა.

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთობლივად ახორციელებდნენ და მასზე 2, 4 მილიონი ლარი სიხარჯა. ამბულატორია სტანდარტულია და 41-42 კვ.მ-ია. შენობა მომზადებულია სენდვიჩპანელებისგან, რომელიც 2 გამათბობლითა და 2 სველი წერტილით აღიჭურვა. შენობის გარე და შიდა ინფრასტრუქტურა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ამბულატორიების კონსტრუქციები საქართველოში იწყობა და მას ლილოში არსებულ ქარხანაში აწარმოებენ.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დედოფლისწყაროს რამდენიმე სოფელში საერთაშორისო უცხოური გრანტებით რამდენიმე სოფლის ამბულატორია გარემონტდა და პაციენტების მომსახურებისთვის საჭირო პირობები შეიქმნა.

„სოფელ ზემო ქედის ცენტრში მდებარე შენობაში მანამდე საავადმყოფო და სამშობიარო ფუნქციონირებდა. 90-იანი წლებიდან სამსართულიანი შენობა უფუნქციოდ იყო დარჩენილი. კომუნისტების დროს კი ის დიდი დატვირთვით მუშაობდა და ადგილზე ყველანაირი პირობა იყო შექმნილი. უცხოური დაფინანსებით გარემონტდა ამ შენობის პირველი სართული და იქ სოფლის ამბულატორია განთავსდა. ექიმი, ექთნები და სტომატლოგიც კი მუშაობდა. სტომატოლოგი გარდაიცვალა, მაგრამ დანარჩენი მომსახურება მოსახლეობას უპრობლემოდ შეუძლია მიიღოს. ახლაც საკმაო დატვირთვით მუშაობენ, მეზობელ სოფლებთან შედარებით უნდა ითქვას, რომ ზემო ქედის ამბულატორიას ბევრი მოქალაქე აკითხავს. ყველაფრით უზრუნველყოფილია, არც შენობას აქვს პრობლემები და არ მსმენია, რომ ვინმეს რაიმე შენიშვნა ჰქონოდა, ან ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობა არსებობდეს, ასეთი ინფორმაცია ჩვენამდე არ მოსულა. შეიძლება ითქვას, ამ ზონაში ამბულატორიის მუშაობასთან დაკავშირებით პრობლემები არ არის. ბოლო წლებში ამავე შენობის მესამე სართულზე ამოქმედდა სასწრაფო დახმარების ფილიალიც. სასწრაფოს ექიმები ერთი ავტომობილით დედოფლისწყაროდან მოდიან და აქვე მორიგეობენ, რომ გამოძახებებზე ოპერატიულად გავიდნენ და რაიონული ცენტრიდან სოფლამდე გასავლელ დიდ გზაზე დრო არ დაიკარგოს,“ — განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ზემო ქედში მერის წარმომადგენელმა ბეჟან სუხაშვილმა.

ათეულობით წელია რეაბილიტაცია არ ჩატარებია სოფელ გამარჯვების ამბულატორიასაც. სხვა სოფლებისგან განსხვავებით ამჟამად შენობაში საგანგაშო ვითარება არ არის, თუმცა, ხელის შევლებასა და განახლებას მოითხოვს.

„ბოლოს როდის შერემონტდა არც კი ვიცი, ძველი შენობაა და დიდი ხანია ასეა. ექიმი ბაბულია ბენაშვილი, ექთანი ანა მარტყოფლიშვილი მუშაობენ და ემსახურებიან მსურველებს. შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე მუშაობენ. საოცარი პიროვნებაა ჩვენი სოფლის ექიმი, ბაბულია ბენაშვილი ისეთი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, რომ ნებისმიერ ამინდში, ნებისმიერ დროს, გვიან ღამითაც მზადაა ფეხით იაროს და პაციენტებს მოემსახუროს, ამიტომაც ყველას უყვარს. ამავე შენობაში გვერდით ფართი გაქირავებულია და კერძო სტომატოლოგიური კაბინეტი მოქმედებს და ის შედარებით კეთილმოწყობილია. სოფელ თავწყაროში რომ გაკეთდება ეს ვიცი, მაგრამ ჩვენი სოფლის ამბულატორიის რეაბილიტაციის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია,“ — ამბობს საკრებულოს დეპუტატი გიორგი ჭინჭარაული.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ინფორმაციით, ამჯერად პროგრამისათვის ჯამში გამოყოფილია 20 მილიონი ლარი და კახეთის გარდა, ყველა რეგიონს მოიცავს.

„ჩვენ ვგეგმავთ და ვახორციელებთ სპეციალურ პროგრამებს საქართველოს რეგიონების თანაბარი განვითარებისა და რეგიონებში აუცილებელი სერვისების მიწოდების მიზნით. ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობა და მათთვის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სერვისების მიწოდება ჩვენი სამთავრობო პრიორიტეტია, რომელსაც არასდროს არ გადავუხვევთ. საქართველოს მასშტაბით წელს დაიწყება 100-ზე მეტი ახალი ამბულატორიისა და 40-მდე სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობა. ასევე დაგეგმილია 300-მდე ამბულატორიის რეაბილიტაციაც. პროგრამა მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

როგორც უკვე გაუწყეთ, რამდენიმე თვეში უნდა გაირკვას, რომელი კომპანიები აწარმოებენ სამუშაოებს. ასე რომ, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, რამდენი ასეთი პროექტი განხორციელდება დედოფლისწყაროში და კონკრეტულად რომელი სოფლების ამბულატორიები აღდგება. ამ ეტაპზე ისიც ვერ კონკრეტდება, უკვე დაფინანსებულ 54 პროექტს შორის დედოფლისწყაროდან მოთხოვნილი რვავე ამბულატორია ფინანსდება, თუ მხოლოდ რამდენიმე შერჩეული მათგანი. სახელმწიფო უწყებიდან ამის თაობაზე ოფიციალური ცნობა მუნიციპალიტეტის მერიას ამ დრომდე არ მიუღია.

ილია მარტყოფლიშვილი

წარმატებული ოჯახის თავკაცი

მიხეილ (გუგული) ალადაშვილი სოფელ არბოშიკში დაიბადა ამ სოფელმა არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას: მეცნიერები, პოეტები, ხელოვანები, სამეურნეო დარგის მუშაკები, ხელმძღვანელი პირები. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ბატონ მიხეილს უკავია. ის თებერვლის თვის ბოლოს 91 წლის გახდა. მხცოვანი, ცხოვრებისეული სიბრძნით სავსე, უახლოესი ადამიანების ყურადღებით და სიყვარულით გარემოცული.

მისმა აქტიურმა ცხოვრებისეულმა წლებმა ჩემს თვალწინ ჩაიარა. პირადად მე ბედნიერება მხვდა წილად ჯერ რაიაღმასკომის თავმჯდომარის, თხემით ტერფამდე ინტელიგენტის, ბრწყინვალე ადამიანის ელგუჯ დიმიტრის ძე შანშაშვილის პირადი მდივანი ვყოფილიყავ, შემდეგ საქ.კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნის ამირან ივანის ძე გონაშვილის, ხოლო შემდეგ ცოცხალი ლეგენდის ნიკოლოზ პეტრეს ძე მამაიაშვილის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგის პროფკავშირების რაინულ საბჭოში, პარარელურად სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი და საზოგადოებრივ საწყისებზე პარტორგანიზაციის მდივანი და რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ყოველთვის ვესწრებოდი რაიკომის პლენუმებს, რაისაბჭოს სესიებს, აქტივის კრებებს, უფრო მეტიც დედაქალაქში გამართულ აქტივის კრებებს და სხვა თავყრილობებს, ამიტომ, ზედმიწევნით კარგად მახსოვს ბატონი გუგულის გონიერი სიტყვით, დახვეწილი მანერით და მისთვის დამახასიათებელი შეუდარებელი მომხიბვლელობით გამოსვლა იმდროინდელ აქტივის კრებებზე. მისი ისტორია საბჭოთა ადამიანის ერთი სტანდარტული ისტორია არ არის. ის დიდი სოციალიტური მანქანის ერთი უბრალო ჭანჭიკი არასოდეს ყოფილა. მას სადაც კი უმოღვაწია, ყველგან შესამჩნევი კვალი დაუმჩნევია. ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, რომელიც 1954 წელს დაამთავრა ეკონომისტის კვალიფიკაციით, თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო აკადემიური, ასევე სპორტული მიღწევებით. ჭიდაობაში მოპოვებული გამარჯვებისათვის თავად რედაქტორმა, ნიკო კეცხოველმა გადასცა საპატიო სიგელი. მართალია, იგი სპორტს არ გაჰყოლია, მაგრამ დიდი ნიკო კეცხოველის ხელით ბოძებული ჯილდო დღესაც უთბობს გულს და ჭაბუკობის წლებს.

ბატონმა მიხეილმა თავისი ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობის ჟამს არაერთი ხელმძღვანელი თანამდებობა გამოიცვალა. რაიონის საფინანსო განყოფილების გამგედ 7 წელი იმუშავა. იმ პერიოდში ქალაქ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარეები თითქმის ყოველ წელს იცვლებოდნენ, პარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს რეკომენდაციით მიხეილ ალადაშვილი კოლმეურნეობის საერთო კრებამ ერთხმად აირჩია კოლმეურნეობის თავჯდომარედ, სულ რაღაც ორ წელში კოლმეურნეობა ყველა დარგში სახელმწიფო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა და საბჭოთა კავშირის ცკ-ის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა, თავად კოლმეურნეობის თავმჯდომარე კი „დიდების ორდენით“. მიხეილ ალადაშვილი მარტო მოწინავე სამეურნეო მუშაკი არ ყოფილა, იგი წარმატებით უძღვებოდა რაიკავშირის რაიონული სტატისტიკის, სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციებს. იგი, უწინარეს ყოვლისა, გულმხურვალე მამულიშვილი და ქართული საქმის მკეთებელი კაცი იყო. მას არაერთჯერ სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდო და მადლობა დაუმსახურებია.

რაც ყველაზე მთავარია, ბატონი მიხეილი წარმატებული ქართული ოჯახის თავკაცია თავის მეუღლე ქალბატონ კლარა ოზაშვილთან ერთად, რომელიც ასევე ოთხი ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურა რაიონულ გაზეთს „შირაქს“, ორი შესანიშნავი შვილი ალეკო და ლალი აღუზარდა სამშობლოს, ორიოვემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ალეკო ანესთეზიოლოგად მუშაობს ჩაჩავას და ტატიშვილის კლინიკაში, ლალი ფიზიოთერაპეტია და კერძო საოჯახო კლინიკაში არის დასაქმებული.

ალეკო ოთხი შვილის მამაა, ხოლო ლალი – ორის. ალეკოს ორი ქალიშვილი საფრანგეთში ცხოვრობს ოჯახით. მაკა ალადაშვილი ენათმეცნიერია, ჰყავს ორი შვილი-ელენა და დიმა, მეუღლე ფრანგი ბიზნესმენია. მანანა ალადაშვილი სტომატოლოგია, მისი მეუღლეც ფრანგია. ალეკოს ორი შვილი კი თბილისში ცხოვრობს, თორნიკე და გვანცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

რაც შეეხება ლალის შვილებს, ქალიშვილი, რუსუდან თულაშვილი ექიმია და რეზიდენტურაში სწავლობს, ხოლო ვაჟი გიორგი ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრანტია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობს.

ოთხმოცდათერთმეტი წლის ამაგდარი ქიზიყელი პაპის ძირძველ ფუძეძლიერ და წარმატებულ ოჯახს განგებამ ჯილდოსავით აჩუქა ასეთი ღირსეული შთამომავლობა, როგორც სწორად ნაცხოვრები, სიმართლის ძიებასა და ჯაფაში გალეული წლების საზღაური.

წარმატებული ოჯახი, ხომ წარმატებული ქვეყნის საწინდარია. ჯანმრთელობა და ოჯახის დღეგრძელობა არ მოკლებოდეთ მათ.

ნანა ჭიჭინაძე

„ხელოვნებაა თავად უკვდავება“

თებერვლის მიწურულია. საღამოს პირი. ჯერ კიდევ სუსტი მზე ჩასასვლელად ემზადება. მე კი სასაუბროდ მივდივარ ადამიანთან, რომელმაც გადაწყვიტა, ისტორიას მიყვეს და, სამართლიანი ვიქნები ვთქვა, რომ ცდილობს გააცოცხლოს კიდეც ის. დღეს საქართველოში მისი პროფესიით ძალიან ცოტა თუა დაინტერესებული, იშვიათი ადამიანი შეეჭიდება იმას, რაც უდიდეს შრომას, მოთმინებასა და ძალისხმევას საჭიროებს. მასზე გაზეთი „შირაქი“, საკმაოდ ვრცლად ადრეც წერდა, მაგრამ გეტყვით, რომ მისი არც მონდომება, არც სურვილი და არც შემართება არ შემცირებულა. მას შემდეგ, რაც ეს საქმე დაიწყო, მხოლოდ წინ და წინ იყურება. პირიქით, ახალ წამოწყებას ჩაუდგა სათავეში და ცდილობს, საკუთარი საქმიანობის გაფართოვებას. გაჭირვება ფეხდაფეხ მიჰყვება, მაგრამ იმედს არ ჰკარგავს, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და შექმნის იმას, რაც დიდი ხნის წინ დაგეგმა.

მასპინძელი სახლში მიძღვება. საცხოვრებელი სახლის უკან ძალიან დიდი ადგილი ეშლება თვალსაწიერს. ხეხილი, მცენარეები, ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ დაუსრულებელი სამუშაოების კვალს შენიშნავს ადამიანის თვალი. მაგრამ, დამერწმუნეთ, როდესაც სამჭედლოში შედიხართ და ნამუშევრებს ათვალიერებთ, სულ სხვანაირად უყურებთ გარემოსაც. ჩვენი რეპორტაჟის სტუმარი, პროფესიით მანქანების შემდუღებელი, მაგრამ ახლა სამჭედლო საქმით მთლიანად „შეპყრობილი“ ზაზა ალადაშვილია, მის მეუღლე ნელი ალადაშვილთან ერთად.

არბოშიკში დაიბადა და გაიზარდა, აქ ცხოვრობდნენ მისი წინაპრებიც. კითხვაზე, თუ რამ გადაანყვეტინა ამ საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმის შესწავლა, მპასუხობს, რომ ამისკენ 90-იანი წლების გაჭირვებამ უბიძგა. იმ წლების უმუშევრობამ, უფულობამ და გაჭირვებულმა ცხოვრებამ ხმლების ჭედვა და ფოლადთან მუშაობა ასწავლა. სადღაც, თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე ერთი ხმლის ერთხელ ნახვამ მას მთელი ცხოვრების პროფესია შესძინა და წლებია, უკვე ამ პროფესიით ცხოვრობს.

– „ხმლის ჭედვის დაუფლებაზე არასოდეს მიფიქრია, მიდრეკილებაც კი არ მქონდა ამ საქმისადმი. მერე 90-იანი წლების გაჭირვება დაიწყო, ოჯახს რჩენა სჭირდებოდა, დახმარება არსაიდან ჩანდა. თბილისის ერთ-ერთ ბაზრობაზე ვნახე ხმალი, შეძენა მინდოდა, მაგრამ საკმარისი თანხა არ მქონდა. არ ვიცი რა შეიცვალა მაშინ ჩემში, რომ უკან წამოსულმა ხმლის კეთება გადავწყვიტე. მჭედლობით ვარჩენ დღემდე ოჯახს“ - მეუბნება ის.

ნელ-ნელა სამჭედლოში ვინაცვლებთ. კედელზე ხმლები, ჯაჭვის პერანგი, უამრავი ორნამენტით გაწყობილი ნამუშევრები ჰკიდია. ასე ჰგონია დამთვალიერებელს, რომ მათში იმ უამრავი ბრძოლის ისტორიაა ჩადებული და გაცოცხლებული, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ საუკუნეების განმავალობაში გადაიტანა. საუბარი ხმლის კეთების იდეას, მის დამუშავებას და შექმნას ეხება. გარშემო უამრავი ხელსაწყო აწყვია, თითოეულს თავისი დანიშნულება და მიზანი აქვს ამ სამჭედლოში. როგორც თვითონ მეუბნება, ხმლის კეთება ესკიზით იწყება. ან თვითონ აქვს იდეა, ანდა შემკვეთს მოაქვს ფოტოსურათი და მისი იდეით ცდილობს ნივთის შექმნას. მეუღლესთან ერთად ნახაზს ადგენს, შემდეგ პირის გამოწრთობაზე გადადის. მასალად უამრავი ლითონის ფენას იყენებს. დაახლოებით, ოც ფენა თხელ ლითონის ფირფიტას ჭრის, ოც-ოცი სანტიმეტრის მანძილით. ამუშავებს მას ჯერ ჩაქუჩით, შემდეგ ცეცხლში გამოადნობს. შემდეგ კი ისევ ჩაქუჩი და წყალში ამოვლება. ერთი შეხედვით რა მარტივად ჟღერს არა? მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, „ხმალი ძალიან დიდი ძალისხმევის, უსაზღვრო ნებისყოფისა და დიდი სურვილის ერთობლიობით იქმნება“.

მის მიერ მაღალი დონის ჭედურობით შესრულებული ხმლების რაოდენობა 500-ზე მეტს აღწევს და მჭედელს თითოეული მათგანი (გაყიდულიც და ოჯახში არსებულიც) შვილებივით უყვარს. ამ კოლექციაში შედის კაზაკური ტიპის ხმლები, კახური, არაბული და თურქული პირები, მონღოლურ სატევარზეც უმუშავია. ქართული ხმლების შეკვეთებსაც ბევრს ითვლის, რომელთა შორის ერეკლე მეფის ხმლის ვარიანტიცაა. მაგრამ მაინც ყველაფერი შემკვეთამდე მიდის. მის სურვილებსა და გემოვნებაზე. ასობით ხმალი, ამდენივე ხანჯალი და დამასკო, 8-10 ჯაჭვის პერანგი აქვს გაყიდული. გაჭირვების დროს მიზერულ თანხად ყიდდა ნამუშევრებს, ახლა კი მათი ფასი გაცილებით მაღალია - 700-800 დოლარი (ხმლის პირები და დამასკოები), ჯაჭვის პერანგები კი - 5000 ლარი ღირს. ჯაჭვის პერანგის ფასს თვითონვე მიხსნის. „ჯაჭვის პერანგი მხოლოდ ერთი ნაჭერი არ არის, მასში სხვადასხვა ნაწილია გაერთიანებული: მუზარადი, ფარი და სამკლავურები. მთლიანად ამ ნაწილების მომზადებას ერთი წელი მაინც სჭირდება. მხოლოდ ჯაჭვის პერანგი თვე ნახევარი იქსოვება მეტი თუ არა. 120,000 რგოლი სჭირდება, რომელსაც, ძირითადად, ჩემი მეუღლე ეჭიდება“. ამ ყველაფერში დამხმარედ კი მხოლოდ მეუღლე და შვილი ჰყავს. შვილს ყველაფერი ასწავლა, მასთან ერთად შრომობს და ერთად ქმნიან ყველა დეტალს. სურვილი ჰქონდა სხვებისთვისაც ესწავლებინა მისი პროფესია, მაგრამ ყველა, ვინც კი სასწავლად მივიდა, საქმის სირთულის გამო, თავს ანებებდა შესწავლას.

მისი მთავარი სიახლე კი ცივი იარაღის მუზეუმია, რომლის დასრულებას უკვე მარტის თვის ბოლოს გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნამუშევრები უკვე დიდი ხანია, რაც ქვეყნის საზღვრებს გასცდა და ადგილობრივ დღესასწაულებზეც ხდება ღია ცის ქვეშ მათი გამოფენა, აპირებს, რომ ძალიან დიდი კოლექცია გააკეთოს. წარმოადგინოს ყველა ის ზემოთ ნახსენები იარაღი, რაც კი მის ხელს შეუქმნია. სურს, რომ ეს კოლექცია ოჯახსა და შვილებს დაუტოვოს. მუზეუმის შექმნის იდეა, სწორედ ამ კოლექციის ერთ მთლიანობაში თავმოყრას, ქართული წეს-ჩვეულებების ერთ სივრცეში ჩვენებას მისი ქართველი და უცხოელი ტურისტებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას უკავშირდება. მთლიანად ხის მასალით შექმნილი ორი შენობისგან შემდგარი მუზეუმი, სამჭედლოსთან დაკავშირებული, დიდი შესასვლელი ბაღით, თონით, მისი ყველა ატრიბუტით, მთელს საქართველოს დაანახებს მისულ დამთვალიერებელს, თუ როგორ კეთდება მუზეუმში წარმოდგენილი თითოეული ნივთი. ძველი ქართული დეკორით შექმნილი ნივთები ფიქრებით ძველ საქართველოში დაგაბრუნებთ და იქაურ სურნელს შეგაგრძნობინებთ: სიძველის, სიძლიერის და ბრძოლის. მისულ სტუმარს პარალელურად შესაძლებლობა ექნება დააგმოვნოს დედას პური, უშუალოდ დაესწროს ცომის მოზელვის, მისი დამუშავების, პურად გადაქცევის პროცესს. მომავალ მუზეუმს ყველაფერი აქვს კომფორტისთვის: სველი წერტილები, ჩამოსაჯდომი სკამები, მაგიდები და ა.შ. როგორც მასპინძელი ამბობს, ეს იდეა წლების განმავლობაში ჰქონდა, მაგრამ ფინანსური საკითხების გამო ვერ ახორციელებდა. ბანკის დახმარებით, ეს პრობლემა, ასე თუ ისე, მოაგვარა და ახლა მის დასრულებას მოუთმენლად ელის. ყველა დეტალს ყურადღებით ეკიდება, საკუთარი ხელით აპირებს ძველებური ურმის გაკეთებას, რომლის „ჩონჩხიც“ უკვე შექმნილი აქვს. აპირებს, რომ გაამწვანოს ბაღი და მეტი სიხალისე შემატოს გარემოს. დამხვედრსაც რომ ესიამოვნოს და მომსვლელსაც. „მთავარია, ეს მუზეუმი ამუშავდეს, ფაქტობრივად, უკვე ტურისტულ მარშრუტში ვართ, მეხვეწებიან ტურისტების მოყვანას, ჩემს ზარს ელოდებიან. ინტერესი ძალიან დიდია. უცხოელებში განსაკუთრებით. ტურისტების სიმრავლე შესაბამისად გაზრდის რეალიზებას, ფართო ასპარეზი ექნება ჩემს ნამუშევრებს წარსადგენად და შეკვეთებიც დიდი იქნება. დეტალები დარჩა და სულ მალე დავასრულებთ. ჩვენით ვართ შეჭიდებულები ამ საქმეს, მთელი ცხოვრება



ვწვალობთ და ასე მოვდივართ. არავის გამოუწვდია დახმარების ხელი, მაგრამ როგორღაც ვასრულებთ. რომ არ გჭირდებოდეს ადამიანს, ერთი ხმალსაც არ დავუთმობდი სხვას, შვილივით მიყვარს ყველა. მაგრამ...“ - ერთი ხელის მოსმით მაჩვენებს მუზეუმის მიდამოს და საუბარს ვამთავრებთ.

სასიამოვნოდ გაოცებული, ამაყი და დაფიქრებული მოვდივარ. როგორც რიგით ქართველს და მოქალაქეს, მსიამოვნებს ასეთი ნამუშევრების ნახვა, მათი ისტორიის მოსმენა, მათი დიდებულების წარმოდგენა. ამაყი, იმით, რომ ასეთი მშრომელი, მონდომებული და მიზანსწრაფული ადამიანი ჰყავს ქართულ მჭედლობას და არამარტო. ალბათ, დამეთანხმებით, რომ იშვიათად მოიძებნება საკუთარ პროფესიასთან ასე დაახლოებული ადამიანი, ადამიანი, რომელსაც უყვარდეს ის, რასაც აკეთებს, როგორც აკეთებს და ბევრი სირთულის მიუხედავად, მის განვითარებასაც ცდილობდეს. ეს მხოლოდ პათეტიკა და სიტყვები არ არის, ამას თითოეული იქ მიმსვლელი თავისი თვალით დაინახავს და აღიარებს, რომ ის, რაც ხელოვანის მიერ იქმნება, მართლაც უკვდავებაა, უკვდავი ემოციები და შეგრძნებები, რომელიც ძალიან ღრმად იდგამს ფესვებს ჩვენს ქვეცნობიერში. დაფიქრებული კი იმიტომ, რომ დღეს ამ დარგს ნაკლები ყურადღება ექცევა. დაფიქრებული იმით, რომ თაობა არ ინტერესდება ამით, დაფიქრებული იმითაც, რომ ხშირად არ ვიცით მშრომელი ადამიანების დაფასება. იმ ქვეყანასაც, რომელსაც დღეს არაერთი გასაჭირი აქვს, ასეთი ადამიანები სანთლით ჰყავს საძებნელი, ქვეყნისთვის და უკვდავი ხელოვნებისთვის მშრომელი ადამიანები.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

წითელი ჯვრის აქცია ბათუმში

ქ. ბათუმში, ე.წ „მუყაოს“ ქალაქში, 22-23-24 თებერვალს, სამი დღის განმავლობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს პირველადი ჯანდაცვისა და გარდაბნის ფილიალის მობილური კაბინეტის პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური ექიმების მიერ ჩატარდა უფასო სამედიცინო დიაგნოსტიკური კვლევები.

საქველმოქედო აქციის ფარგლებში ბენეფიციარებმა მიიღეს შემდეგი სახის სამედიცინო მომსახურება: მუცლის ღრუ და სხვა შინაგანი ორგანოების ექოსკოპირება უახლესი აპარატურით, კარდიოლოგიური და გინეკოლოგიური გამოკვლევა, სისხლში შაქრის შემცველობის დონის განსაზღვრა, ფარისებრი ჯირკვლის რადიოლოგიური კვლევა და აგრეთვე ექიმი-თერაპევტის და გინეკოლოგის კონსულტაცია.

ე.წ. „მუყაოს ქალაქი“-ს დასახლებას ესტუმრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, მთავრობის წევრები და ბათუმის მერი. ისინი ადგილზე გაეცნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ განხორციელებულ კვლევის შედეგებს. საბოლოო მონაცემებით, კვლევებში მონაწილეობა 356 პაციენტმა მიიღო, რომელთაგან უმრავლესობამ ჩაიტარა თითქმის ყველა სახის კვლევა. ექიმთან ვიზიტების საერთო რაოდენობამ კი 450-ზე მეტი შეადგინა. დაფიქსირდა 6 კრიტიკული შემთხვევა, როცა პაციენტს უკვე ესაჭიროებოდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სტაციონარში. აღნიშნული პაციენტები დროულად იქნენ გადაყვანილი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. „აჭარის მთავრობის თხოვნით ჩავატარეთ სრული უფასო გამოკვლევები. მოსახლეობას სამი დღის განმავლობაში ვემსახურებოდით. ძალიან კმაყოფილები დარჩნენ და გვთხოვეს, რომ ზაფხულში იქნებ კიდევ ჩამობრძანდეთო. თვითონ ქალაქის პირობები არ იყო ისეთი, რომ პაციენტები სრულყოფილად მიგვეღო, მაგრამ გაგვითავისუფლეს თავიანთი ადგილები, საწოლები და კვლევებიც შეძლებისდაგვარად ჩავატარეთ. ჩვენთან ერთად იყვნენ ასევე ნორვეგიის წითელი ჯვრის წარმომადგენლები. მათაც შეამოწმეს ჩატარებული სამუშაოები. მადლობა გადაგვიხადა ხალხმა, განცვიფრებულები იყვნენ ჩვენი მომსახურებით“ - აღნიშნა წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს პირველადი ჯანდაცვის მენეჯერმა ნათელა თამაზაშვილმა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ადგილობრივმა ორგანიზაციამ და მოსახლეობამ დიდი მადლობა გადაუხადა ჯანდაცვის კაბინეტის ექიმებს ნათელა თამაზაშვილს, ნინო ფურცელაძეს, რუსუდან მებაღიშვილს, ლელა ზარქუას, ნინო სირაძეს და ირინა მოდებაძეს დაუღალავი და უანგარო შრომისთვის, სიკეთისა და გულისხმიერებისათვის. მიუხედავად მათი დაღლილობისა და დატვირთული გრაფიკისა, ერთი წუთითაც არ შეცვლილა დაგეგმილი დღის წესრიგი.

მასალა მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

დასუფთავების აქცია ხორნაბუჯის ციხესთან



25 თებერვალს, ფონდ „ნაკრესის“ ორგანიზებით ჩატარდა დასუფთავების აქცია ხორნაბუჯის ციხის ტერიტორიაზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ „ნაკრესის“ და „ახალი ჰორიზონტის“ მოხალისეები და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ღონისძიების შედეგად საკმაოდ ბევრი ნარჩენი შეგროვდა, რომელიც დიდ ტერიტორიაზე იყო მიმოფანტული.

„სამწუხაროდ, უამინდობის გამო, ადრე მოგვიწია საქმის დასრულება და ერთხელ კიდევ მოგვინევს ტერიტორიის დასუფთავება. შეგროვებული ნარჩენები, ძირითადად, მოიცავდა ნივთებს, რომლებსაც აქ საქეიფოდ ჩამოსული ადამიანები ტოვებენ (შუშის და პოლიეთილენის ბოთლები, ერთჯერადი თეფშები, პარკები და სხვა). სამწუხაროდ, მაგიდის ირგვლივ დატოვებული ნივთები გარეული ცხოველების და ქარის მიერ დიდ მანძილზე გადაიტანება, რაც კიდევ უფრო ართულებს შემდგომ მათ მოგროვებას. მინდა მადლობა გადავუხადო ღონისძიების ყველა მონაწილეს. ასევე მათ, ვინც დაინტერესება გამოხატა და დახმარება შემოგვთავაზა,“ – ამბობს აქციის მონაწილე თეიმურაზ პოპიაშვილი.

ღონისძიება ჩატარდა პროექტ „ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (**GEF/SGP**) მიერ

„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს, ყოველწლიურად 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ. ღონისძიებაში მონაწილეთა რაოდენობა 31 მილიონამდე აღწევს. ამ დღეს მსოფლიოში 2010 წლიდან აღნიშნავენ. საქართველო ამ ღონისძიებას ცოტა მოგვიანებით, 2016 წელს შეუერთდა. საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიზანია, საქართველოც შეუერთდეს ამ საერთაშორისო ინიციატივას და გახდეს მსოფლიოს ამ მასშტაბური ღონისძიების ნაწილი და მისი ქალაქები მოხსენიებული იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების გვერდით, ჩაერთოს ბევრი ადამიანი და იკითხოს წიგნი მსოფლიოსთან ერთად.

წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს, 27 თებერვალს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიც შეუერთდა. როგორც გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნა ქალბატონმა თამარ აბულაძემ, სახლს მოწვეული ჰყავს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების, სხვადასხვა ასაკის და კლასის მოსწავლეები, რომლებიც წაიკითხავენ ამონარიდებს საყვარელი ნაწარმოებებიდან და საკუთარ ლექსებსაც. თემა არის ძალიან მრავალფეროვანი და გაშლილი. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი წელს პირველად გამოეხმაურა ამ ღონისძიებას. საქართველო ძალიან სრულფასოვანი და სრულყოფილი წევრია ამ აქციის და მოხარული ვართ, რომ ჩვენც შევუერთდით მათ რიგებს. გაზეთი ასევე დაინტერესდა, თუ რა მიზანს ემსახურება მსგავსი ღონისძიება და რა შედეგს ელოდებიან, რაზეც ღონისძიების ორგანიზატორმა გვიპასუხა, რომ შედეგი აუცილებლად ის იქნება, რომ წიგნის სიყვარული დაუბრუნდება ჩვენს მომავალ თაობას. წიგნს აქვს ისეთი მომაჯადოებელი თვისება, რომ, როგორც კი წიგნის სიყვარული ჩაუვარდებათ გულში, თავს ვეღარ დაანებებენ. მთავარია, სტარტი მივცეთ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ღონისძიების გახსნისას სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შეხვედრა ეძღვნებოდა წიგნს, წიგნის დღესასწაულს. ვინაიდან დღევანდელმა ტექნოლოგიებმა წიგნი ნაწილობრივ განდევნა, ეს ღონისძიება ემსახურება იმას, რომ ბავშვებს წიგნი დააჭერინონ ისევ ხელში. ღონისძიების ორგანიზატორებმა: ნინო სიფრაშვილმა და თამარ აბულაძემაც მიმართეს იქ მყოფ სტუმრებს და მადლობა გადაუხადეს იქ მიბრძანებისათვის. ღონისძიებას ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგები, რესურსცენტრის დირექტორი ეთერ ზურიკაშვილი და ასევე საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წარმომადგენლები.

ბავშვებმა ჯერ საყვარელი ლექსები და ამონარიდები წაიკითხეს, ხოლო შემდეგ საკუთარი ლექსები შესთავაზეს საზოგადოებას. მოსწავლეების შემდეგ, დამსწე მასწავლებლებმაც წაიკითხეს ლექსები. ღონისძიების ბოლოს ქალბატონმა ეთერ ზურიკაშვილმა მიმართა აუდიტორიას და მონაწილე ბავშვებს, მათ უსურვა წარმატება და სთხოვა რომ წიგნის სიყვარული არ განელებოდეთ.

ინესა ამბარიანი



კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შვეულად: 1. ქართულ მითოლოგიაში: სულკალმახის ცოლი და ამირანის დედა 2. თავის გარდა კიდევ სად ჰქონდათ მოთავსებული ტვინი დინოზავრებს 3. რომელ ინფექციურ დაავადებას უწოდებენ “წყლის შიშს” 4. ბგერის გრაფიკული გამოსახულება;5. 1899 წელს ნიკოლა ტესლამ გამოიგონა ვენტილატორი. რომელ დაწესებულებაში დაამონტაჟეს ეს ხელსაწყო პირველად 6. მსახიობი მიკი ... 7. ფრინველი, იგივეა რაც ძენძერუკი, ან ყაჯირი 10. თანამედროვეები ამბობდნენ, რომ პეტრე I-მა ეს ქალაქი ხალხის ძვლებით ავსებულ ჭაობზე ააშენა 11. ჰოლანდიელი მხატვარი. საღებავებში უმატებდა დაფხვნილ მინას ღრმა მუქი ტონების მისაღწევად 12. მოსევადების ტექნიკა 13. 5 კაპიკი - შაური, 10 კაპიკი - უზალთუნი, 20 კაპიკი - ... 14. საბჭოთა პოლიტიკოსი, რომელმაც სიმინდს “მინდვრის დედოფალი” უწოდა 15. ნახევარი კოკის ტევადობის საწყაო 16. “ბებერი ...” - ასე უწოდებდნენ მოხუც ბახს შვილები ზურგსუკან 19. მხ/ფ “... ოკეანის საიდუმლოება” 21. მსახიობი ... კემპბელი 27. პერპეტუუმ-მობილე: მუდმივი ... 28. საიუველირო ქვა, “ეშმის ქვასაც” უწოდებენ 31. რა ღონისძიებას მიმართა ედუარდ ჯენერმა ყვავილის (დაავადება) წინააღმდეგ 32. ტელეფონის გამომგონებელი; 34. ნიშნავს ახალს 36. გამის ნოტი, მისი ჟღერადობა ფანფარულ ჟღერადობას შეადარეს

მარაზულად: 5. კირქვისა და მარმარილოს სახესხვაობა 8. პოეტი, რომელიც ქალაქ ბაღდათში დაიბადა 9. სასულის დასაწყისი ნაწილი 10. მტაცებელი თევზი ამაზონში ადგილობრივი მოსახლეობა მის ყბებს მაკრატლის მსგავსად იყენებს 14. გენეალოგიური ...; გრაფიკულად წარმოდგენილი ოჯახის საგვარეულო ნუსხა 15. რა დაუხატა სხეულზე ადამის ფიგურას მიქელანჯელომ ფრესკაზე “განკითხვის დღე”, რაც არ შეესაბამება ბიბლიურ წარმოდგენებს 17. ცელსიუსი, ფარენჰაიტი, კელვინი - რა იზომება ამ ერთეულებით 18. ერთგვარი ბორანი 22. ტუბერკულოზის გამავრცელებელი კოხის 23. კედლის შანდალი 24. დეტექტიურ-ლიტერატურული ჟანრის ფუძემდებელი, მწერალი ედგარ ალან ... 25. ბანქოს ფურცელი ერთი ნახატით 26. რომელი ხის მერქანს იყენებდა სტრადივარიუსი ვიოლინოების კორპუსის დასამზადებლად 29. ბუდისტური მისალმების ფორმა - სახესთან მიტანილი მიტყუპებული ხელებით 30. მომღერალი ... სტიუარტი 33. ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა 34. ფილოსოფიური შინაარსის იაპონური მინიატიურული ქანდაკება, რომელსაც ამაგრებდნენ ქისის თასმაზე, რომ ქისა კიმონოს ქამრიდან არ გამომძვრალიყო 35. ციხესიმაგრე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ედმონ დანტესი და აბატი ფარია 37. ძვირფასი წითელი ქვა. სინონიმია იაგუნდი 38. იგავის დიდაქტიკური დასკვნა 20. რომელ მდინარეში მოიპოვებდნენ ოქროს ძველად, ცხვრის ტყავის მეშვეობით, რაც „ოქროს საწმისის“ მითის წარმოშობის მიზეზი გახდა

მ ო ნ ა ტ რ ე ბ ა

ლილი უზუნაშვილი-თარაშვილი

პირველად მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ, ლილი. 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, 81 წელი შეგისრულდებოდა. 81 წელი ცოტა არ არის, მაგრამ ოჯახის წევრს და დედას ხომ ასაკი არ აქვს. ძალიან დაგვაკლდი ყველას, შენს ერთადერთ და საფიცარ შვილს, ზაზას და მის მეუღლეს პოპიაშვილს, შვილიშვილებს – ლიკას და არჩილს, შვილთაშვილს - პატარა ნიაკო ღვინიაშვილს. ყველასათვის ამაგიანი იყავ, ზრუნვას და სითბოს არ გვაკლებდი. მხნეს და მხიარულს ოჯახში სულ მუდამ ხალისი შემოგქონდა. ეს შენი ბუნების და, ალბათ, სპეციალობის დამსახურებაც იყო. ათეული წლები შეალიე პატარების მუსიკაურ განათლებას ჯერ წითელწყაროს №1 საბავშვო ბაგა-ბაღში, შემდეგ კი – გამარჯვების საბავშვო ბაღში. ყველას უყვარდი და შენს შრომით კოლექტივში დადებითი ავტორიტეტით სარგებლობდი, რადგან თბილი, კომუნიკაბელური და პასუხისმგებლიანი იყავ. დიდი სიყვარულით შეიქმნა ჩვენი ოჯახი და ასე ვიცხოვრეთ ერთად თითქმის ხუთი ათეული წელი. გული მატკინა შენმა წასვლამ, ცალუღლად დარჩენილი ყველგან დაგეძებ. 8 მარტს მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს. ნათელში იყავ, ჩვენს მიერ დანთებულმა სანთელ-საკმეველმა გაგინათოს სამარადისო სამყოფელი.

შენი მეუღლე
თენგიზ (ბელურა) თარაშვილი, **სოფელი გამარჯვება.**

უახლოესი მეზობლები: ლამარა, შალვა ლეკაშვილები, ქეთევან ჯანიაშვილი, ჯიმი ალუღიშვილი და ლალი ბოჭორიშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მანანა ბეგლარიშვილს ძმის და გია ბოსტოღანაშვილს ცოლისძმის

გივი ბეგლარიშვილის

გარდაცვალების გამო.

უშანგი ხუმა – მხატვარი დედოფლისწყაროდან

თიბისი არტ გალერეაში უშანგი ხუმას (ხუმარაშვილი) პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ხუმარაშვილის რიგით მეათე გამოფენა მხატვრის საიუბილეო თარიღისთვის გამოცემულ ალბომს ეძღვნება. ახლახან, უშანგი ხუმას 70 წელი შეუსრულდა, ამიტომ ალბომის - „ანარეკლები ანარეკლების შესახებ უშანგი ხუმარაშვილის ფერწერულ ნამუშევრებში“ პრეზენტაცია ამავე გამოფენაზე შედგა. უშანგი ხუმა 1948 წელს, დედოფლისწყაროში დაიბადა. 12 წლამდე დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში იზრდებოდა და ამავე სკოლაში სწავლობდა.

ამჯერად, დედაქალაქში წარმოდგენილი ექსპოზიცია უშანგი ხუმას 2018-19 წლებში შექმნილ 15 ნამუშევარს აერთიანებს. ის 1967-73 წლებში თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე, თეატრის განხრით სწავლობდა. 1974-80 წლებში თელავის დრამატული თეატრის მხატვარი იყო. 1975 წლიდან რეგულარულად იფინება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, ვორქშოპებსა და ბიენალეებში. უშანგი ხუმას სახელი კარგადაა ცნობილი ქართული ვიზუალური ხელოვნების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უშანგი ხუმა, როგორც ფერმწერი, 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, მხატვრული ორიენტაციით ის ტიპური 80-იანელია. მისი მხატვრული ტრადიციები კლასიკურ ავანგარდს წარმოადგენს. მძიმე საბჭოური მემკვიდრეობა და სოცრეალიზმი მხატვრის შემოქმედებას ჩაკეტილ სივრცეში ამყოფებდა. მხატვრობის ძირითადი ეტაპი 1970-80-იანი წლებიდან იწყება, რამაც უშანგი ხუმარაშვილი ექსპრესიულ აბსტრაქციონისტად ჩამოაყალიბა.

„ხუმარაშვილის ნახატები მძიმე ფორმებისა და მოცულობების აბსტრაქციებია, ისინი დაზგურ ფერწერას კი არა, უფრო კედლის მხატვრობას ჰგავს, მეტიც, გამოქვაბულის კედლის რიტუალურ მხატვრობას. ისინი უკიდურესად მძიმე ფიზიკური მგრძნობელობით, თუმცა, საღებავის მასალის სიჭარბე არასოდესაა მისი დამახასიათებელი.“

„უშანგი ხუმარაშვილის ერთი დამსახურება ის არის, რომ მან ცოცხალი ავანგარდისტული ტრადიციების მქონე ხელოვნება ელიტარული გახადა, რითაც დასავლეთის არტ სამყაროს პრეცედენტი შექმნა საქართველოში; შექმნა სრულიად ცარიელ ადგილზე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.“ „ის ასახავს სინამდვილეს აბსტრაქტული ნახატის გზით; მას მხოლოდ სჭირდება მოკლას აღსანიშნი, რათა შექმნას აღმნიშვნელი, - როგორც პირადი და ყველასთვის გასაგები ანარეკლი.“ – წერს დავით ჩიხლაძე; (ალბომის ტექსტიდან).

„გაზეთი „შირაქი“ ჩვენს თანამემამულე მხატვარს გაესაურა და სთხოვა დედოფლისწყაროსთან მისი კავშირი გაეხსენებინა.

„წარმოშობით ფშაველი ვარ, დავიბადე სოფელ ქვემო ქედში. ბედნიერი ვარ, რომ დედოფლისწყარო მაკავშირებს ბავშვობის წლებთან. დაახლოებით მეოთხე კლასამდე ქვემო ქედის სკოლაში ვსწავლობდი. დედოფლისწყაროში გვქონდა ხშირი ურთიერთობა. ბავშობის წლებიდან ხშირად და ტკბილად ვიხსენებ შირაქის ველს. დიდი ოჯახი ვიყავით, შემდეგ გაკულაკეს, როგორც ხდებოდა. ამჟამად ქედში ნათესავები ცხოვრობენ. ბოლოს ქვემო ქედში ვიყავი სააღდგომოდ, მამის საფლავზე. მას შემდეგ ორი წელი გავიდა. ვცდილობ, აღდგომისთვის მაინც ჩამოვიდე ხოლმე. იმედია, წელსაც მოვახერხებ. დაახლოებით 12 წლის ვიყავი, როდესაც გადმოვცხოვრდით თელავში. საშუალო სკოლა თელავში დავამთავრე. 1967 წლიდან ვსწავლობდი თბილისის სამხატვრო აკადემიაში. შემდეგ 1974 წლიდან ვმუშაობდი თელავის დრამატულ თეატრში მხატვრად. თელავიდან დედაქალაქში გადასვლის მიზეზი ბევრია. ჩემი აზრით მხატვრისთვის თელავში ცხოვრება წარმოუდგენელია. 90-იანი ბნელი და უძრაობის წლებიდან ვცხოვრობ თბილისში. ძნელია ახალ რეალობაში მსოფლიო ტენდეციებს ხელოვნებაში გაუთანაბრდე. რასაც ჰქვია კლასიკური ავანგარდი ჩემთვის აუცილებელი ეტაპია თანამედროვე მხატვრობისთვის. ჩემი აზრით, საქართველოში ხელოვანების გადასარჩენად ოფიციალური სახელმწიფონება არ არსებობს. ხელოვნების მუზეუმის ფუნქცია დამთავრდა 80-იან წლებში. დღეს სხვადასხვა კერძო გალერეები და კომპანიები ხშირად მიდგანან გვერდში, რომ არა მათი დაფინანსება და მხარდაჭერა, ვერაფერს გავხდებოდი. დამეთანხმებით, ყველა ხელოვანისთვის სასიამოვნოა როდესაც გაფასებენ, საგამოფენო სივრცე უანგაროდ გითმობენ,“ - განუცხადა „შირაქს“ უშანგი ხუმარაშვილმა.



ამიტომაც იყო, რომ უშუქობას და უძრავ თელავს გაექცა და დედაქალაქში გადასვლა გადაწყვიტა: „კენტავრის სილუეტია ჩემს არსებაში. უკაცრიელ ფანჯრებში ნაყარი სივრცე. სარეცელი მზარავს. ქარია ფანჯრებში. ვპოულობ ღამის ფარდულებს. მთელი გზა ჩაბნელებულია თელავი,“ – წერდა დღიურში.

„ვინაიდან ჩვენმა გალერეამ გამოსცა ეს ალბომი, ამიტომაც ეს გამოფენაც და მათ შორის ალბომიც უშანგი ხუმარაშვილის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ქართული მხატვრობით დაინტერესებული საზოგადოება ბატონი უშანგის შემოქმედებას კარგად იცნობს, მისი პერსონალური გამოფენა დეკემბრის თვეში იყო ეროვნულ გალერეაში“. - ამბობს „თიბისი გალერეას“ ხელმძღვანელი ქეთევან კორძახია.

„უშანგი ხუმა ძალიან ძლიერი მხატვარია, აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია საქართველოში. შარშან, ვახო ბუღაძემ ცალკე გამოფენაც კი მიუძღვნა მას — ტილოებზე, ყველგან უშანგი იყო გამოსახული; ზურა გიკაშვილმა ვიდეონამუშევარი გააკეთა. უშანგი პირველად სწორედ ჩვენს გალერეაში წარმოდგა ახალი სახელით — უშანგი ხუმა, რაც მას ძალიან მოსწონს ბოლო დროს და უკვე ამ სახელით იფინება,“ – ამბობს „გალა გალერეას“ დამფუძნებელი დედიკა ბულია.

„რაკი საიუბილეო თარიღია, ნამუშევრების თემატიკა ისედაც გასაგები იყო. შემომთავაზეს დიდი გამოფენა აქ გამეკეთებინა და ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან ჩემდა გასაოცრად, აქ მხატვრების მომსახურება ყველანაირად უმაღლეს დონეზე აქვთ აწყობილი. კმაყოფილი ვარ, რომ კატალოგის და გამოფენის ორგანიზებაც სრულად უზრუნველყვეს. საკმაოდ სოლიდური და მაღალხარისხიანი კატალოგი დაიბეჭდა, რომლის გამოცემაც საკუთარი ძალებით გამიჭირდებოდა. საკმაოდ ტევადი ალბომი გამოვიდა,“ – აღნიშნავს მხატვარი.

უშანგი ხუმას ნამუშევრები ქვეყნის ფარგლებს გასცდა: 2013 წელს სერბეთში, ბელგრადის საერთაშორისო ტრიენალეზე, 2006 წელს ერევანში, სომხეთის ეროვნულ გალერეაში, ამავე წელს აზერბაიჯანში თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე განჯაში, 2000 და 2002 წლებში ასევე აზერბაიჯანში შაქის გალერეაში.

უშანგი ხუმას გამოფენა თიბისი არტ გალერეაში 2019 წლის 14 აპრილამდე გაგრძელდება.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მაყვალა გონაშვილს!

ჩვენო ძვირფასო და საამაყო თანამემამულევ, ჩვენო გამორჩეულად საყვარელო ქალბატონო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. არც ვიტყვით ასაკს, რადგან არავინ დაიჯერებს, ისე გამოიყურები. ისეთივე ლაღი და მგრძნობიარე ხარ, როგორც შენი ლექსები. მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურიატს, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დაუვიწყარ თავჯდომარეს და ამაგდარს კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს გისურვებთ შენს მშვენიერ ოჯახთან ერთად. იხარე და იბედნიერე, უფალი გფარავდეს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია
ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილება.
დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია.

მადლიერება

25 თებერვალს დაბადების 84 წელი შემისრულდა. შვილებმა, ისე, როგორც ყოველ წელს, ახლაც ღირსეულად ამიღნიშნეს ეს დღე. ასაკში შესულ ადამიანს ძალიან სჭირდება გამხნევება, მოფერება, იმის დამტკიცება, რომ ის კვლავაც სასურველია ახლობლებისათვის, ნათესავ-მეგობრებისა და მეზობლებისათვის. მადლობელი ვარ თითოეული მათგანისა, ვინც გამონახა დრო და მომილოცა დაბადების დღე. გამორჩეული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს ახალგაზრდა მეგობარს, ჩემი ოჯახის დიდ გულშემტკივარს ნანა ჭიჭინაძეს, რომელიც თბილისიდან ამ დღეს სპეციალურად ჩამოვიდა. უფალმა დალოცოს თითოეული მათგანი ჩემი გახარებისათვის.

პატივისცემით, ლალი ბოჭორიშვილი

გუდამაყარში გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი აშენდება

გუდამაყარში, სოფელ ჩოხში, ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტის, სცენარისტისა და კინორეჟისორის, გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი აშენდება. სამშენებლო სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გოდერძი ჩოხელის მშობლიურ სოფელში სახლ-მუზეუმისთვის ორსართულიანი შენობა აშენდება, სადაც მწერლის პირადი კაბინეტი, ორი საგამოფენო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციული სივრცე განთავსდება, მუზეუმის ეზოში მწერლის სახელობის წყარო, ღია სცენა და სველი წერტილები მოეწყობა.

გოდერძი ჩოხელი 2007 წელს გარდაიცვალა. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩოხში ოქტომბერში იმართება.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.03	სამშაბათი 05.03	ოთხშაბათი 06.03	ხუთშაბათი 07.03	პარასკევი 08.03	შაბათი 09.03	კვირა 10.03
დღე	1°	6°	8°	9°	5°	6°	11°
ღამე	0°	5°	7°	3°	3°	5°	9°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

REDAQCIIS MISAMARTIA:
ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.